№ 80

ოთხშაბათი, 13 აპრილი 1894

1877—1894

№ 80

ოთხშაბათი, 13 აპრილი 1894

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ივერია“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

**ლატარია-ალეგრი „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნულია 8 მაისს. ვისაც სურს შემოსწიროს** ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს **ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას** (ნიკოლოოზის ქუჩა, საგინოვის სახლი).

თანახმად ქართველთა შორის წერა-იკთხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა წლიურის კრების გადაწყვეტილებისა, დანიშნულია 21 აპრილს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში ამავე საზოგადოების

**საგანგებო კრება,**

რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა $18^{91}/_{92}$ წლის ანგარიშის შესახებ და აზრი გამგეობისა ამ მოხსენების შესახებ.

2) მოხსენება კომისიისა, რომელსაც წლიურის კრების მიერ მინდობილი აქვს გამორკვევა სკოლების გახსნის საქმისა.

3) მოხსენება გამგეობისა გამგეობის მოქმედების წეს-რიგის შესახებ.

4) არჩევა სარევიზიო კომისიისა, შესამოწმებლად მიმდინარე წლის წლიურის ანგარიშისა.

და 5) არჩევა საზოგადოების ახალის წევრებისა.

ტფილისი, 13 აპრილს

—

რუსეთის ტახტის მემკვიდრისაგან დანიშვნა ჰესსენის მთავრის ასულისა, გარდა იმისა, რომ სადღესასწაულო შემთხვევაა იმპერიის უველა ერთგულ ქვეშევრდომთათვის,—ახლანდელ პოლიტიკის ბურუსიან და გამოურკვეველ წამს, დიდი საერთა-შორისო მნიშვნელობის საქმეც არის.

ამ დიდებულთა ნიშნობას განსხვავებული თანაგრძნობა გამოუწვევია ინგლისსა და გერმანიაში; მაგრამ იმას-კი აღარ გვაუწყებს დეპეშა, რა თვალით შეჰხედა საფრანგეთის საზოგადოებამ.

მართალია, მეფეთა დამოკიდებულებას ერთმანეთში საერთა-შორისო საქმეებზედ გავლენა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ წესის დაცვა ერთობ ძნელია, ადამიანი ყოველთვის ადამიანად დარჩება და თავის გრძნობასა და უგულითადესს განწყობილებას ვერ უარჰყოფს.

რასაკვირველია, ისტორიაში იმის მაგალითებიც არის, რომ ნათესავი და მოყვარე მეფე ამხედრებულიყოს თავის ნათესავისა და მოყვარე მეფის წინააღმდეგ, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა და, საერთო კანონად არ ჩაითვლება......

როგორც სწერენ, რუსეთის ქვეშევრდომთათვის-კი გერმანიის პრინცესსა ალისა სანატრელი და საიმედო სადედოფლო ქალი უნდა იყოს. პრინცესსა მშვენიერად აღზრდილი და განათლებულია და შემკულია მრავალის ღირსებით.

ახლად დანიშნული ასული ჰესსენის მთავრისა, შვილიშვილია ინგლისის დედოფლის ვიქტორიასი, რომელსაც აღუზრდია იგი იმ მაღალის ღირსების შესაფერად, რომელიც მას მოელის.

ინგლისური აღზრდა საზოგადოდ განსხვავებულია სხვა ქვეყნის აღზრდისაგან. ინგლისელი ქალი ღვთისა და კაცის მოყვარეა, ერთგული, მხნე თავის ოჯახისა და ქვეყნისათვის; ამასთან განათლებული დ თავისუფლების გრძნობით გამსჭვალული, რაიცა ხდის ინგლისელს ქალს ფრიად პატივსაცემს სხვა ქვეყნის მანდილოსანთა შორის. ყოველს ამას უნდა დაემატოს თვით გერმანელის ტომისს უეჭველი თვისება: გულმოდგინება, შრომის სიყვარული და ჩვენს თვალ-წინ იქნება სრული ხატება ახლად დანიშნულისა.

ასეთის მრავალის ღირსებით არის შემკული ის ქალი, რომელიც აირჩია რუსეთის ტახტის მემკვიდრემ თავის საუკუნო მეგობრად და რუსეთის დედოფლად. ქვეყანა სიხარულით შეჰყურებს დღეს თავის მეფის ძის ბედნიერებას.

W.

## ახალი ამბავი

—

*** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ჰბრძანა, აღიარებულ იქმნას ბ-ნი დეიბელი ბელგიის ვიცე-კონსულად ბათუმში და იმისავე უწყებას დაექვემდებაროს ქუთაისის გუბერნია, ყარსის ოლქი, ქ. სოხუმი და შავის ზღვის ოლქი.

*** გაზეთების სიტყვით, მთავარმართებელი კავკასიისა გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი 8 აპრილს გაემგზავრა პეტერბურგიდგან მოსკოვს, სადაც ორ კვირამდის აპირებს დარჩენას და შემდეგ ტფილისში ჩამოსვლას.

*** განჯა: 10 აპრილს, კონდუქტორ ნაზაროვს გაუტეხეს ოთახი და მოჰპარეს 40 მან. ფული და ოქროს ბეჭდები, ღირებული 20 მან.

*** ქუთაისი: აქ შესდგა წრე ახალგაზდა მანდილოსანთა, რომელნიც დიდის გულ-მოდგინებით და სიამოვნებით შეუდგნენ ქართულის გალობისა და სიმღერის შესწავლას ბ-ნ ა. ბ—შვილის ლოტბარობით. დიდის ყურადღების ღირსია ეს სასიამოვნო მოვლენა და ჩვენ ერთიღა დაგვშთენია ვინატროთ ამ საქმის წარმატება და ის, რომ ამ ახალგაზდა მანდილოსნებმა [continues below]

## ფელეტონი

—

**მსხვერპლი უბედურებისა**

(ნამდვილი ამბავი)

იანვრის სუსხიანი დღე იყო, გამწვავებულს ქარს წუწუნი და გრიალი გაჰქონდა. ტფილისის განაპირა ერთს ძველ ქოხს უფრო ემტერებოდა ეს მოუსვენარი ქარი, აცლიდააცლიდა და უცბად შეაღებდა ხოლმე კარებს. მოთმინებიდგან გამოსული მაია წყევლა-კრულვით კარებს ჩაუხურავდა დაუდგრომელ ქარს და ურდულს გაუყრიდა.

მაიას სახლის მოწყობილობას შეადგენდა ერთი ძველებური გრძელი ტახტი, ძველის ფარდაგით და ნაალით დაფენილი, სადაც გაჭირვებით ორი ხელი ლოგინი დაეტეოდა; ზედაც ორი ძველ საურიანი ჩითის მუთაქა ეღაგა. ტახტის პირდაპირ კედელთან იდგა ორი ხის ჩიკა. პაწია ბუხრის რაფაზედ ატუზული იყო ქონის სანთლით ყვითელი თითბრის შანდანი, იქვე შანდანთან ეღაგა სხვადა-სხვა შუშები; მაყალი გამუდმებით ტახტზედ ედგა მაიას საქმიანობის დროს, ერთი ლოგინის წალო ჰქონდა ლურჯი ფარდით გაწყობილი; ტახტზედ მაყალის გვერდით წითელი დედა კატუნა მიწოლილიყო და გამალებული ხვრინავდა. მაია შუა ხნისა იქნებოდა, ოცის წლისა დაქვრივებულიყო; თუმცა ეხლა ორმოც-დაათისა იყო, მაგრამ უფრო მოხუცს წააგავდა; ჩასხმული, ტანდაბალი მანდილოსანი იყო, შავგვრემანი სახე ჰქონდა და ჭკვიანი თვალები. მაია დაფიქრებული იჯდა მაყალის გვერდით, ტახტის ბოლოს ლურჯ სამოსელ გადაკრულს ლეიბზედ და გაშურებული ტომრებს ჰკერავდა, თან ზედ დაჰზუზუნებდა: „ნეტა როდემდის უნდა ვეწვალო, რომ ჩემი ანიკო გამოვზარდო და კარგის ხელში ჩავაგდო, მერე ჩემთვის სიცოცხლე საჭირო აღარ არისო“!!

ანიკო მაიას ქალის შვილი იყო, დედას ობლად ორის წლისა დარჩენოდა, ხუთის წლისას მამაც გარდაცვლოდა და იმისი ნუგეში ერთადერთი ბებია-ღა იყო, სხვა არავინ გააჩნდა ქვეყანაზედ. მაია ერთგულად ჰპატრონობდა.

ანიკო იქვე ახლოს მაიას ნათლიდედა ქოროჯაანთ კეკელას შეგირდად ებარა, ლეჩაქებისა და თავსაკრავების კერვასა და ქართულ წერაკითხვას სწავლობდა. ცამეტის წლისა იყო, მაგრამ თავის ამხანაგებს არ ჩამორჩებოდა სილამაზითა და ცოდნით.

მაიამ ათი ტომარა შეჰკერა და ტახტის ბოლოზედ დაალაგა. ბუხარში ცეცხლი აფუვლა და კარტოფილის შეჭამადის კეთება დაიწყო. ის იყო ათავებდა სადილის კეთებას, როდესაც ანიკომ კარები დაუკაკუნა. მაია მხიარულად მიეგება, გაუღო კარი, შეციებული ლოყები დაუკოცნა და უთხრა: „ადი, გენაცვალე, მაყალთან დაჯექ, ახლავ გავშლი სუფრას“. ანიკომ ფეხიდგან გაიძრო წითელი ფლოსტები, ავიდა ტახტზედ და ბებიას პატარა ნაალზედ გამოინასკვა.

საუცხოვო სანახავი იყო ეს ახალგაზდა გოგონა. თეთრ-წითლად გაბადრულს სახეს შავი დიდრონი ჟუჟუნა თვალები უმშვენებდა; ლაწვებამდის ჩამოჰფენოდა კუნაპეტივით შავი წამწამი; კალამა და შნოიანი გიშრის ფერი წარბები გადაშანთოდა გატკეცილს შუბლზედ, ქიაფრის მგზავსი ტუჩები ოდნავ გაეპო და თეთრი, მარგალიტის მსგავსი კბილები გამოეჩინა; ლოყის ბოლოს მომხიბლავი შავი მომცრო ხალი დარაჯად უდგა იმის კეკლუცს სახეს. ბუდეშურის მგზავსს თათებს მქინარე და გულ-დაღმა გადაგორებულს კატას თავზედ უსვამდა და თან ბებიას ემუსაიფებოდა. მაიაც სიამოვნებით უსმენდა ცამეტის წლის ანიკოს ტიტინს და მისგან წახალისებული უამბობდა სხვა-და-სხვა გასართობ ამბავს. ამ საუბარით ისადილეს ორივემ.

ღამის რვა საათი იქნებოდა როცა ანიკო დასაძინებლად დაწვა; მაია-კი სახლში ფათურობდა, ყველაფერი მიალაგ-მოალაგა, მიაწყნარა და შემდეგ წინდის ქსოვა დაიწყო. მაიას ძილი გვიან უყვარდა. მაიამ ექიმობის სახელი გაითქვა უბანში, ბოლოს ბებიობაც დაიწყო, ეს რიხიანი დედაკაცი ფულს მუდამ ჰშოულობდა, მხოლოდ სძულდა თამამი და მატყუარა ხალხი. ჰქსოვდა წინდას და ჰფიქრობდა: ეს ჩემი გოგონა ლამაზი მყავს, მაგრამ ნეტა ბოლომდე შეჰყვეს ეს მოხათრება და მოკრძალება, თორემ ცუდი დროება შეგვექნა! ბოლოს გადასდო თახჩაში წინდა და პაწია ღვთისმშობლის ხატთან დაიჩოქა. როდესაც ლოცვა გაათავა, გაიხადა ტანისამოსი და მიუწვა გვერდით თავისს ცქრიალა ანიკოს.

ასე ტკბილად და მყუდროდ მიმდინარეობდა ამათი ცხოვრება. მაია ისეთი მოხერხებული და მშრომელი იყო, რომ თითო-ოროლა გროშს შავის დღისათვისაც ინახავდა. ბოლოსა და ბოლოს იმდენ ხელ საქმის და შრომის ფასით თვისი საკუთარი პატარა ქოხი გალესა და კოპწიად მოაწყო. ახლა ანიკოს მზითვის ზრუნვას შეუდგა.

თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა იქნებოდა ანიკო, როდესაც თავისს ქოხში საკუთარი ქარგა გააბა, დაუწყო ლეჩაქებსა და თავ-საკრავებს კერვა. თვეში სამ-ოთხს მანეთს იღებდა და ისიც ფულს იზოგავდა.

მაისის ერთს საღამოს მაია კარებთან ქვაზედ ჩამომჯდარი ხის პინაზედ წამლისთვის ლენცოფას ფოთოლს სჩეჩქავდა მელოგინესათვის. ამ დროს კეკელას ქალმა დარომ მოირბინა და მაიას გვერდით მოუსკუპდა.

— ნათლია, გენაცვა, უთხარ, ანიკო წამოვიდეს მამა-დავითში.

მაიამ უსიამოვნების ნიშნად წარბები შეიჭმუხნა, მაგრამ რაკი უკვე ჩაცმულ-დახურული ანიკო კარებში დაინახა, გაიღიმა და უთხრა:

— შვილოჯან, რად ჩაგიცვამს ტანისამოსი?

— საღამოა, ბებიჯან, ეხლა მაინც ველარ ვისაქმებ და მინდა კარ-მიდამოზედ სუფთად ვიყო, უპასუხა მოწიწებით ანიკომ.

— მაშ, წაჰყე, შვილო, დაროს მამა-დავითში, მაგრამ მალე-კი ჩამოდით.

ანიკომ დაიხურა ყვითელის ჩალის შლიაპა, დაიჭირა ჩითის ქოლგა და სიხარულით გაჰყვა თავისს მეგობარს.

ის იყო ალმართს ათავებდნენ და სულ თავში ერთ მოგრძო ხის სკამზედ დასასვენებლად ჩამოსხდნენ. ამ დროს ორი ყმაწვილი კაცი მოდიოდა ზევიდგან; ორივეს ერთნაირი ხალათები ეცვათ; ეტყობოდათ, რომელიღაც სასწავლებლის მოსწავლენი იყვნენ. ერთი მათგანი დარიკოს ნაცნობი აღმოჩნდა; ამისთვის ისინიც იმ სკამზე ჩამოსხდნენ. დარიკომ ხელი ჩამოართვა შაქრო ფშუტაძეს და ანიკოც გააცნო. შაქრო ფშუტაძე შნოიანი ყმაწვილი კაცი იყო. ანიკო თვალში მოუვიდა და მაშინვე დაუწყო საუბარი; მეორე მოწაფე მალე მოშორდათ. შაქრო ელაპარაკებოდა

სანთ არ ესუსტებინოთ ამ ჩინებულის საქმისათვის!..

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ის სიტყვით, ტ. ნაზარიანს მოსვლია ლონდონიდგან რკინის სახლი, რომელიც იკეცება და რომლის აქეთ-იქით გადატანაც შეიძლება. ეს სახლი დადგმული იქნება მიხეილის ქუჩაზედ, იქ, სადაც ბ-ნ სოლოვცოვის სახლი იყო, რათა საზოგადოებას მისი ნახვა და დათვალიერება შეეძლოს.

*** გაზ. «Русс. Жизнь»-ის სიტყვით, ამ ჟამად სახელმწიფო ბანკთან დაარსებულს კომისიას, რომელიც შემდგარა სახელმწიფო ბანკის განყოფილებანისა და კანტორების მმართველებისაგან, ამ ჟამად იმ საგნის განხილვაშია, თუ როგორ ამოეჩინოს ფულის სესხად რუსეთის სვიის, თამბაქოს მომყვანთ, ცხვარის მოშენებელთა და მევენახეთ. განზრახვა აქვთ, დიდი დახმარება აღმოუჩინონ ამ მეურნეთ სახელმწიფო ბანკში სესხის აღმოჩენით.

## დამაკვირდი

—

შერიგებული მტერი ჩვეულებრივ არაფრითა სჯობს გატეხილსა და შემდეგ მიწებებულს სარკეს.

სუსტორი

**

სამარცხვინოა მამა-პაპათა სახელი და დიდება იმისათვის, ვინც მისი ღირსებით ტარება არ იცის.

ლაროშფუკო

**

მალიან ხშირად სხვისაგან სათნოებასა ვთხოულობთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არ დაგვიმალონ ბიწიერად ყოფნა.

მარია ებნერ-ეშენბახი

## კორესპონდენცია

—

**ს. ასკანა** (გურია), 3 აპრილს. ეს ხუთიოდე დღეა, რაც ჩვენში ცამ მოიწმინდა და მზემ გამოანათა. აქამდის-კი სულ საძაგელი ამინდები იყო. გვეგონა, ზამთარი საუკუნო განსვენებას მიეციოთ, მაგრამ მარტმა ცეცხლზედ ნავთი დაგვისხა. სამი მზიანი დღე არ გვინახავს თითქმის მთელს მარტის განმავლობაში. სულ წვიმა, თოვლი, ქარი და ცუდი ტაროსები. სიცივეს და ცუდ ამინდებს მოჰყვა სხვა-და-სხვა მოარული სენი: სურდო-ხველა, ყელის ტკივილი და ინფლუენცა. ინფლუენცამ კიდეც იმსხვერპლა რამდენიმე. ჩვენში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სოფლის მოხელეებთა არჩევანებმა. თუმცა მთავრობის განკარგულებით ორჯელ იყო ყრილობა, მაგრამ სოფლის მოხელეების არჩევა მაინც არ მოხერხდა, რადგანაც მკვიდრთა შორის უთანხმობა ჩამოვარდა და მთელი სოფელი ორ დასათ არის გაყოფილი: ძველთა და ახალთა მომხრეებად.

ვერც სკოლის საქმეა ჩვენში სანატრელ მდგომარეობაში, თუმცა სკოლა გვაქვს და სწავლის სურვილიც დიდია მაგრამ მასწავლებელი არა გვყავს. საზოგადოდ ჩვენი სოფელი უბედურია მასწავლებლებით. არ იქნა და ვერ ვეღირსეთ ერთ ისეთს მასწავლებელს, რომელიც გულ-მტკივნეულად მოგვქცეოდა. ერთ ხანად ისეთი მასწავლებელი გვყავდა, რომ სულ არ უგდებდა ყურს სკოლას. და ამ ვაჟ ბატონმა კიდევაც დაიჩივლა, რომ ბავშები უნიჭონი არიან და ამისთვის ვერ სწავლობენ. ცეცხლი ვსჭამე და პირი არ დამწვავო სწორედ ეს არის. თუ-კი არაფერს არ ასწავლი ბავშებს, როგორ უნდა ისწავლონ. სკოლის მაგიერობას ამ ჟამად ჩვენში სამკითხველო სწევს, რომელიც, როგორც მკითხველებმაც უწყიან, ექვსი თვეა, რაც დაარსდა. გზების უქონლობაც ძლიერ აწუხებს ჩვენს სოფელს. ჩვენი სოფლიდგან ოზურგეთამდის მიდის გზა-ტკეცილი, მაგრამ რათ გინდა, რომ ყურადღების მიუქცევლობის გამო, ისეთ ნაირად გაფუჭდა, ცხენით გავლაც-კი ყოვლად შეუძლებელია.

ანტონიძე

—

**განჯა.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ბ-ნ გლადკოვის მეცადინეობით განჯის რკინის გზის სადგურზედ დაარსდა სამკითხველო, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს მოსამსახურეებისათვის. 1893 წელს დეკემბერში ბ-ნ ი. გ. გლადკოვის მეცადინეობით იქმნა შეგროვილი 177 მ. 37 კაპ., რომელსაც ბ-ნ გლადკოვმა დაუმატა 16 მანეთი თავისი ფული მომავალ შემოსავლამდი, და ამ ფულით ჟურნალ-გაზეთები გამოვიწერეთ 1894 წლისათვის. ამასთანავე სამკითხველოს გამოუჩნდენ წევრნი, რომელთაც აღუთქვეს თვე და თვე ფულით დახმარება, ასე რომ თუ ყველა თავის დაპირებულ ფულს შემოიტანდა, თვეში უნდა შემოსულიყო 45 მანეთამდე. მაგრამ დაპირება ყველამ არ გაამართლა და 45 მანეთის მაგიერ პირველს თვეს 36 მანეთი 35 კაპეიკი შემოვიდა, მეორე თვეში 28 მანეთი და ამ მესამე თვეში ხომ თითქმის არა შემოსულა-რა.

ამას ვინა სჩივის, ამ ბოლოს დროს სამკითხველოში ორნაირი ქურდობა გაჩნდა. მივიღებთ თუ არა ახალს გაზეთსა და ჟურნალს, აქ მოსიარულეთაგან ვინმე, რომელიც მოეწონება, წაიღებს და რამდენიმე დღის შემდეგ მოიტანს სამკითხველოში, ხოლო არიან ისეთებიც, რომელთაც მიაქვთ და აღარ უბრუნებენ სამკითხველოს (სამკითხველოს მუდმივი ყურის-მგდებელი არავინა ჰყავს) და აი დღეს ქართულ ჟურნალ-გაზეთების ნომრებს ნახევარს ვერა ჰნახავთ. სამკითხველოს რაინდები ამითაც არ დაკმაყოფილდნენ, ხუთ აპრილს ღამით გატეხეს სამკითხველოს შკაფი და წაიღეს ოთხ მანეთამდე ფული და შვიდიოდე დაკაზმული წიგნები.

ნუ თუ შესაწყნარებელია ასეთი საქციელი წიგნთ-საცავში მოსიარულეთაგან? ნუ თუ არ ეცდებიან და რაიმე ღონისძიებით არ მოსპობენ ამ ქურდობას, რომელმაც შეიძლება იქამდე მიიყვანოს საქმე, რომ წიგნები სულ აღარ გვქონდეს და იძულებულნი ვიყვნეთ სამკითხველოს დაკეტვას?!..

ჩითახო

## უპატრონოდ დარჩენილი ქუჩები

—

გამოზაფხულდა, დადგა თბილი დღეები და ახლა-კი კაი იმ მცხოვრებლების ბრალი, რომლებიც ჩვენ ქ. ტფილისის ზოგიერთ უწმინდურ ბინძურ და მიყრუებულ ვიწრო ქუჩებში სცხოვრობენ, სადაც სისუფთავისთვის მაგრე რიგად არც ქალაქის გამგეობა ჰზრუნავს რასმე და არც თუ ზოგიერთი სახლის პატრონები იღერტავენ ყურებს სხვის მალ-დაუტანებლივ თავიანთის ქუჩა-უბნებისა და ეზოების დაწმენდ-დასუფთავებისათვის.

„ამის გამო აბას-აბადის მოედნიდგან დაწყებული „დიდი მრუდე ქუჩა“, „მეჰურჯების ქუჩა“, „იერუსალიმის ქუჩა“, და „მოღნინისა“, გარდა იმისა, რომ დიდის ხნის დაუგველია და მტვრითა და ნაგვით სავსე, ხშირად შეჰხვდებით აგრეთვე სხვა-და-სხვა პირუტყვის მკვდარს, უკვე გასრწნილს მძოვრებს ძაღლსა, კატას, თაგვსა, ქათამს და სხვას... ქუჩებს გარდა, თვით ეზო-დერეფნებიც ასეთს ყოფაშია. უფრო გვარ უწმინდურობას იქვე ცხვარის წინ ჭყრიან და ჭლვრიან, ნამეტნავად საზარელი სანახავია უფრო მოღნინის ქუჩა, სადაც ურიები სცხოვრებენ. წარმოიდგინეთ, ამ საშინელ უწმინდურობის ჩამდენთა და მომქმედთა დამშლელი არავინ სჩანს. სწორედ საოცარია გულ-გრილობა სასანიტარო კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს თვალ-ყური ადევნოს და გააფრთხილოს ყველანი ცუდის სენის გაჩენის ასაცილებლად. ჩვენში დიდი ხანი არ არის, მას აქედ, რაც ყველასათვის თავ-ზარ-დამცემი სენი ხოლერა მძვინვარებდა, რომელმაც ჩვენში უკვე «ხილი იხილა და ჩრდილი იჩრდილა» სხვა რომ არა იყოს რა, იმის შიში მაინც უნდა გვქონდეს — და ამიტომ მოვალენი ვართ ეხლავე, სანამ ადრეა, გულმოდგინედ მოვეკიდნეთ დაწმენდ-დასუფთავების საქმეს.

ამას გარდა, ჩვენში მალიან გავრცელდა წვრილმანი ქურდობა. ქურდობენ უფრო ის მაწანწალანი, რომელნიც კარი-კარს დადიან ვითომ-და სამოთხოვრო და სამოწყალოდ.

გათენდება თუ არა დილა, დაიწყებენ ხოლმე დილიდგან საღამომდე წანწალს და სადაც-კი დაინახავენ ვისმე სახლის კარს ღიას, პირდაპირ შედიან დაურიდებლად, ვითომდა მოწყალების სათხოვნელად, უფრო-კი იმ განძრახვით, რომ თუ სახლის პატრონი შინ არ დაგვიხვდება და მოწყალებას არ მოიღებს, ჩვენვე გუწყალობებთ ჩვენს თავს რასმე იმათის ქონებიდგანაო. ამ მაწანწალათა უმეტესობა უფრო თათრები და ქვემო ქვეყნის სომხები არიან. ამათის შიშით დღისით ეზოში საროცხი ვედარავის გაუფენია და ღამ-ღამობით ხომ უფრო უარესია: შეიბინდდება თუ არა, გარეთ ეზო-დერეფნებში თუ რამე დარჩა ვისმე, თვალის დახამხამებაზედ გააქრობენ.

ამ უკანასკნელ ორი-სამის კვირის განმავლობაში თხუთმეტ-ჯერ მო-

---

ანიკოს და თან გულში ჰფიქრობდა: „ღმერთო, რა მომაგონებდა, თუ ეს მშვენიერება უბრალო ხელოსნის ქალი იქნებოდა. ნეტა რამ შეჰქმნა ასეთი ანგელოზი“? ამ ფიქრით გატაცებული უფრო ახლოს მიუჯდა ანიკოს და ხმა-ამოუღებლივ შეჰყურებდა.

— ახლა გვეყოფა დასვენება, მალე დავბრუნდეთ შინაო, უთხრა ანიკომ დარიკოს. სამივემ მუსაიფით აიარეს პატარა კიბეები, მიიარ-მოიარეს გალავანი და ახლა გორაკებისაკენ გასწიეს.

— აქედამ რა მშვენიერი სანახავია ტფილისი, სთქვა შაქრომ და ამ სიტყვით მოიკეცა იქვე მწვანეზე ქალების მახლობლად. ანიკო ტფილისს გადაჰყურებდა, როდესაც უცბად ბებიის დარიგება მოაგონდა, რომელიც გამუდმებით იმას ჩასჩიჩინებდა, უცხო კაცს ერიდე და თამამად არ ეჩვენო, არც ემუსაიფოვო, თორემ ცუდი იქნებაო. გაახსენდა ესა და შინ წასვლას დაეშურა.

— დარიკო, წავიდეთ, თორემ ბებია გაწყრება, რომ დავიგვიანო.

დარიკოც დასთანხმდა. შაქრო კი, თითქოს ერთს ალაგას ლურსმანით დააკრესო, აღარ იძროდა.

ქალები გამოემშვიდობნენ. გამოთხოვების დროს შაქრომ ნელის ხმით უთხრა ანიკოს:

— იმედია, კიდევ ვნახავთ ერთმანეთს, დღეის სწორს, ხუთშაბათს ამოდითო, თან ხელი ძალზედ მოუჭირა და ისე ჩამოართვა.

ანიკომ და დარომ დაღმართი ერთს თვალის დახამხამებაზედ ჩაირბინეს. დარო მხიარულად იყო, მაგრამ ანიკო ცოტა არ იყოს მოწყენილი მიდიოდა. შაქროს სიტყვებმა გულს დაღი დაასო, ფიქრში გართული შევიდა ბებიასთან. ბებიამ ის იყო სამოვარი აადუღა და ჩაის კეთება დაიწყო. ანიკო-კი მუთაქაზედ გადაგორდა და ერთი ღრმად ამოიხვნეშა.

— რა იყო, შვილოჯან, გაკვირვებული ჩაეკითხა მაია: ხომ არ დაიღალე? აი, ჩაი დალიე და კეკელაანთ კარებზედ შენ ტოლებს ლხინი აქვთ, იქ გადავიდეთ.

ანიკოს არსად უნდოდა წასვლა, მარტოობა ჰსურდა, მაგრამ ბებიასი ეხათრებოდა, ამისათვის დაემორჩილა და გაჰყვა, თუმცა, სხვათა სიამოვნებაში იმას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

გულ-დაკოდილი შაქროც ანიკოს წასვლის შემდეგ ღრმა ფიქრებს მიეცა. ანიკო სულ თვალ-წინ უდგა, მისი სიცოცხლით სავსე სახე გონებიდგან არა შორდებოდა. ამ ფიქრში გახვეული კარგა ხანს დადიოდა უგზო-უკვლოდ და ანგარიშ-მიუცემლად.

შაქრო, როგორც გაკვრით ვსთქვით, აზნაურ ფშუტაძეს შვილი იყო, სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდა, კურსის შესრულებას ერთი წელიწადი და უკლდი, ქ ართლელი იყო და გვარიანი მამულ-დედულიცა ჰქონდა... ათასი აზრი უელავდა თავში, ჰფიქრობდა: აქ რომ გავათავებ, უმაღლესს სასწავლებელში წავალ, იქაც დავასრულებ და კაი ადგილსაც მივიღებო, მაგრამ ამ აზრს ძნელად განახორციელებდა, რადგან გართული იყო ქალების ტრფიალსა და ალერსში. ყველას სიყვარულს უცხადებდა, ხშირად აბამდა უმანკო გულუბრყვილო ქალებს მახეში, ბოლოს-კი განზედ გაუხტებოდა და შორიდგან სეირს უყურებდა. ასეთივე აზრი მოუვიდა შაქროს ანიკოს შესახებაც.

ის დღე იყო და ესა, ამ დღიდგან შაქროს და ანიკოს გულში სიყვარულის ნაპერწკალმა ნელ-ნელა დაიწყო ღვივება.

სწორზედ, ხუთშაბათს საღამოს, დარიკო და ანიკო ავიდნენ მამა დავითში, შაქრო დანიშნულ ადგილას დახვდათ; შაქრო სიცილით მიეგება და მადლობა გადაუხადა ორივეს, რომ არ მომატყუეთ და ამოხვედითო. ანიკოს ნახვით აღტაცებული შაქრო, მოუყვა ყმაწვილს ქალს გულის ასაცუნცრუკებელ, ალერსიან და გონების გასატაცებელ, თავს ბრუ-დამსხმელ სიტყვებს, ანიკოც რაღაც უხილავის სიამოვნებით გატაცებული უსმენდა.

ამას შემდეგ შაქრო და ანიკო ხშირად ჰხედავდნენ ერთმანეთს. ერთი თვის შემდეგ სწორედ იმ ადგილს, სადაც მუდამ უყვარდათ ყოფნა, ცოლ-ქმრობის პირობა მისცეს ურთიერთს.

ანიკოს გულში შაქროს სიყვარული ჩაუვარდა, მოიხიბლა, გიტაცა ამ გრძნობამ ამიტომაც რაც უნდა ეთქვა შაქროს, მტკნარი და უტყუარი ჭეშმარიტება ეგონა. ყველაფერი სწამდა, ყველა სჯეროდა. ხშირად მიდიოდა ანიკო შაქროსთან, რადგანაც შაქრო მოსვენებას არ აძლევდა წერილებით.

გაზაფხულის დღეები იყო, ქარი ოდნავ სისინებდა, მაგრამ-კი არა ციოდა. ანიკო სარკმელზედ გადაყუდებულიყო და დაფიქრებული გაიყურებოდა შორს, პირდაპირ მთებისკენ. მაია კი მელოგინესთან წასასვლელად ემზადებოდა და ანიკოს ემუდარებოდა: „შვილოჯან, კვირაძალდება; ლეჩაქი გაათავე, პატრონს ეშურება“. სწორედ ამ დროს დარომ მოირბინა სარკმელთან და შემოსძახა — მაიას.

— ნათლია, ლოცვაზედ წავალთ ანიკო და მე?

ამ დაროს თხოვნას, ანიკომაც თავისი ხვეწნა დაურთო.

მაია ცოტა შეყოყმანდა, რადგანაც რაღაც ცვლილებას ატყობდა ანიკოს, მაგრამ ჯერ-კი ნამდვილს ვერას მიმხვდარიყო; ღვთის მოყვარე დედაკაცი იყო და ამიტომ ანიკოსაც დართო ნება ეკკლესიაში წასვლისა.

— წადით, შვილო, მეც კარებს დავკეტამ, გასაღებ ჩვენ მეზობელ თალალას მივაბარებ; იქნება დავიგვიანო და ლოცვა გამოვიდეს თუ არა, მაშინვე წამოდით.

აგერ დაჰკრეს კიდეც წმიდა მარინეს ზარი და გავიდნენ ანიკო და დარიკო პაწია ქოხიდგან. გზა და გზა ანიკო ეტუტუნებოდა დარიკოს:

— ოხ, დარო შენა ხარ ჩემი მხსნელი, უშენოდ რა უბედური ვიქნებოდი?!.. ჩემის შაქროს ნახვას შენის შემწეობით ვეღირსები ხოლმე, თორემ განა არ იცი ბებია მარტოდ არსად გამიშვებს, თუმცა ღმერთისა მეშიან, რომ ასე ვთვალთვმაქცობ და ბებიას ვატყუილებ.

— რას ამბობ, დღეს ორჯელ მოიჭრა ჩვენსა და დიდის ფიცით დაიფიცა, თუ რომ ანიკოს არ მოიყვან, დამბაჩას ვიკრამ შუბლშიო. ჩემმა დედ მამამ-კი რომ გამიგონ, მომკლამენ, მაგრამ შენ მებრალები.

— ოხ, დარიკო, ენით ვერ გამოვთქვამ იმის სიყვარულს, ასე მგონია წელიწადია გუშინდელს აქეთ, რაც არ მინახავს-მეთქი.

ამ ლაპარაკით ყმაწვილმა ქალებმა ვიწრო ქუჩა შეიარეს და ერთს ყრუ ქუჩაში ერთ-სართულიან სახლში შევიდნენ. შაქრო მოუთმენლად ელოდა. დაინახა თუ არა ანიკო შაქრომ, ათრთოლებულის ხმით შესძახა:

— მოდი, ჩემო სულისდგმავ, ჩემო ძვირფასო და სანატრელო.

დარიკო-კი კიბეზედვე გაჩერებულიყო და შაქროს ჩასჩურჩულებდა.

— შენ თითონ მოიყვანე ჩვენსა და მერე მე მივიყვან სახლში.

ანიკოს მისვლა შაქროსთან ამ დღეს პირველი არ იყო. რაც დრო

მხდარა მოლნინისა და იერუსალიმის ქუჩებში წვრილმანი ქურდობა: ზოგმა თოკზედ გაფენილი სარეცხი დაჰკარგა, ზოგმა ჩოხა და ახალუხი, ხალიჩები, ფარდაგები და სხ.

მოლნინის-უბნელი შ.

## რუსეთი

სახელმწიფო საბჭო როგორც ხმა დადის, ამ წლის მაისის ნახევარში გაათავებს თავისს სესიას. სახელმწიფო საბჭოში სხვა-და-სხვა საგნის წარდგენა განსახილველად და დასამტკიცებლად მინისტრების მიერ მხოლოდ ამა პირველ აპრილამდე შეიძლება.

—

რუსეთის კრიტიკოსის სკაბიჩევსკის პატივსაცემლად გამართულს საიუბილეო სადილზედ ერთი დიდად სამწუხარო ამბავი მომხდარა. ამ სადილზედ მონაწილეობის მიღება უნდოდა და წინა დღესვე ჩაეწერა თურმე ბ-ნი ვოლინსკი, რომელმაც სკაბიჩევსკის ნაწერები განიხილა და დაიწუნა. ჯერ იმის მისვლამდისვე სკაბიჩევსკის პატივისმცემელთა შორის ჩურჩული ისმოდა: „არ შემოვუშვებთ“ ანუ „დავსჯითო“, ხოლო როდესაც ვოლინსკი მივიდა, მიუახლოვდა სადილის ერთი განმგეთაგანი და უთხრა: თქვენთვის ადგილი არ არისო. მერე მიუახლოვდა მეორე და დაუმატა თურმე, რომ შეუძლებელიც იყო, რომ თქვენთვის ადგილი დაგვეტოვებინაო. ვოლინსკი, რაღა თქმა უნდა, იძულებული შეიქმნა ფერ-გადაკრული გამობრუნებულიყო უკანვეო, ამბობს გაზ. „Новости дня“.

—

ამას წინად ხარკოვის სამოსამართლო პალატას ერთი საყურადღებო საქმე გაურჩევია სისხლის სამართლის წესით. ყაზახს მანუილოვს ის ბრალი ედებოდა, რომ თუმცა აუკრძალეს და ხელ-წერილიც ჩამოართვეს, არ ატარო მღვდლის ანაფორა, გრძელი თმები და შენს თავს ძველის წესის მიმდევართა (სტაროობრიადცთა) მღვდლად ნუ უწოდებო, იგი მაინც მივიდა თურმე ნიჟნეჩირსკის სტანიცის ოლქის ატამანთან ზემოხსენებულის, მისთვის აკრძალულის სახით და განაცხადა, რომ ძველის წესის მიმდევართა მღვდელი ვარო. უსტმედვედიცის ოლქის სასამართლომ გაარჩია მანუილოვის საქმე, დამნაშავეთ იცნო იგი და მიუსაჯა ან 50 მან. ჯარიმად გადახდა და ან ერთის თვის ვადით საპატიმროში დაპატიმრება. მანუილოვი განაჩენით არ დაკმაყოფილდა და საჩივარი სამოსამართლო პალატაში გადაიტანა. მისმა დამცველმა, ნაფიცმა ვექილმა დუვჩენკომ განაცხადა სასამართლოში, რომ მეც ვატარებ გრძელს თმებსა და გრძელს წამოსასხამს, რომელიც ძალიან ჰგავს მღვდლის რასას; ქუდიც-კი ისეთი მხურავს, თითქოს სამღვდელო კუნკულა, კამილავკა იყოსო, და მაშასადამე მეც სასამართლოში უნდა ვიქმნა მიცემულიო. რასაკვირველია, ეს უსამართლო იქნებოდა, რადგან კანონი სდევნის მხოლოდ იმათ, რომელიც მას მიერ სხვა-და-სხვა ხარისხის მქონე კაცთათვის დადგენილს ტანისამოსს ატარებსო. ამიტომ სასამართლოს სთხოვდა, სრულიად გაამართლეთ მანუილოვიო. პალატამ, განიხილა რა ხელ ახლად საქმე, დაადგინა: გარდახდეს მანუილოვს ჯარიმად ორი თუმანი და ან დაპატიმრებულ იქმნას პოლიციაში ხუთის დღითაო.

## უცხოეთი

**ინგლისი.** საზოგადოებათა პალატაში სერ ჯონ პიზამ განაცხადა, ამ დღეებში პალატაში წინადადება მინდა შევიტანო იმის შესახებ, რომ მივმართოთ დედოფალს ვიქტორიას, განსაკუთრებული ადრესი მივართვათ და ვიშუამდგომლოთ, ინგლისის მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყოს სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო კონფერენცია მოვუწოდოთ ჯარის შემცირების საქმის განსახილველადაო. საზოგადოებათა პალატის ბევრი წევრი ტაშის კვრით მიეგება პიზას განცხადებას.

—

**გერმანია.** გერმანიაში მშვიდობიანობის საზოგადოების სხვა-და-სხვა კრებაზედ არა ერთხელ იყო გამოთქმული ის აზრი, რომ ერთად-ერთი საგანი, რომელიც შიშს უქადის ევროპის მშვიდობიანობას, ელზას ლოტარინგიის საქმეა და პარიზსა და ბერლინში ამ საგანს ცოტა მორიგების თვალით რომ შეჰხედონ, შეიძლება კეთილად იქმნას იგი გადაწყვეტილი ფულის გადახდისა, მიწა-წყალის გაცვლისა, ანუ ამ ქვეყნის განცალკევების, ნეიტრალიზაციის შემწეობითაო. ამის გამო ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ გერმანიის ოფიციალურ გაზეთს „Strasburger Zeitung“-ს ერთი ადგილი მოჰყავს, ამ საგნის შესახები, ამასწინად ლონდონში გამოსულ უილიამ გარბუტიტის წიგნიდგან, რომელსაც ეწოდება: „Germany and Germans“-ი — აი რას ამბობს ეს ადგილი: „საფრანგეთის მომხრენი სულ იმას ამბობენ, მშვიდობიანობას ძალიან ემუქრება ის გარემოება, რომ ელზას-ლორენი ინგლისს აქვს დაჭერილიო. უფრო სამართლიანი იქნება იმისი თქმა, რომ საფრანგეთს არ უნდა მოურიგდეს იმ ომის შედეგს, რომელიც თითონ გამოიწვია და ეს ემუქრება ევროპის მშვიდობიანობის სიმტკიცესა და სიმკვიდრეს... იმას, რაც გერმანიამ იარაღის შემწეობითა და დიდ-ძალის მსხვერპლით მოიპოვა, რაც უზრუნველ-ყოფილი აქვს ხელ-შეკრულობით, შეირჩენს კიდეც და, თუ საჭირო იქმნა, დაიცავს, თავს გამოიდებს მისთვის და არც არაფერს დაუთმობს იმ დრომდე, ვიდრე სისხლიდგან არ დაიწურება პომერანიის უკანასკნელი გრენადერიც და ციხე-სიმაგრე უკანასკნელს ზარბაზანს არ დასცლის. გერმანიაც ამ შემთხვევაში სწორედ ისე მოიქცევა, როგორც მოიქცეოდა იმის ადგილზედ ყოველი სხვა სახელმწიფო. ევროპაში უფრო დიდი მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა, ფრანგები რომ მოურიგდნენ იმ აზრს, რომ ელზას ლორენის დაბრუნება შეუძლიანთ მხოლოდ ომით და ისიც ძლევა-მოსილის ომით და ინგლისის და სხვა სახელმწიფოთა მშვიდობიანობის მოციქულნი თავის საქმეების პროგრამაში რომ არ აღნიშნავდნენ ხოლმე იმასაც, ვითომ მომავალში შეიძლება განხორციელდეს აზრი ელზას ლორენის გაყიდვისა, დათმობისა, ანუ განცალკევებისაო“.

## გასართობი

ინდოთა ჯარის მოხუცებული უფროსი ესტუმრა ერთხელ თავის მეგობარს, ღარიბს ახალ-მოშენეს, რომელიც გულ-უხვად დაუხვდა სტუმარს. ახალ-მოშენეს ცოლმა დაუწყო ინდოელს ლაპარაკი და ერთი ერთმანეთზედ ხან რასა ჰკითხავდა და ხან—რას, ასე რომ შვება და სულის მობრუნების ილაჯი არ მისცა. ამ ლაპარაკით გამოყრუებულმა ინდოელმა უცბად სიტყვა შეაწყვეტინა და ჰკითხა:

— რას ეძახით აი იმ ხეს, თქვენის სახლის ფანჯრის წინ რომ სდგას?

— ვერხვს.

— ჩვენში-კი სულ სხვა სახელი ჰქვიანო, უპასუხა უსაუბრელად ინდოელმა.

— რას ეძახით? ჩაეკითხა კვლავ ცნობის მოყვარე დია'ახლისი.

— რასა და დედაკაცის ენას, რადგან მისი ფურცლები ყოველთვის მოძრაობაშია.

**

ორნი ბავშვნი შელაპარაკდნენ ერთმანეთთან და გაჯავრება და გინება დაუწყეს. ერთმა უკივინა მეორეს:

— შენ არა ხარ, რომ ერთად-ერთის მამის მეტი არა გყავსო?

— წადი, დაიკარგე,—უპასუხა მეორემ: ვინ იცის, იქნება მე უფრო მეტი მამა მყავდეს, ვიდრე შენაო.

## სასამართლოს მატიანე

ამ დღეებში ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში გარჩეულ იქმნა საყურადღებო საქმე თავ. ციციშვილისა, რომელიც 25,000 მან. ედავებოდა ტფილისის ცხენის რკინის გზის საზოგადოებას.

წარსულის წლის გაზაფხულზედ თ. ციციშვილი ქარვასლისკენ მიდიოდა ცხენის რკინის გზის მატარებლით. მუხრანიანთ ქუჩის პირდაპირ, სადაც უფრო აღმართია, თ. ციციშვილს უნდოდა ვაგონიდგან გადმოსვლა, მაგრამ ვერ შენიშნა ზემოდგან მომავალი მეორე ვაგონი და ორ ვაგონ შუა მოჰყვა, რის გამოც ფეხები ძლიერ დაუშავდა. აი, ამის გამო თ. ციციშვილმა უჩივლა უსახელო საზოგადოებას და 25,000 მან. სთხოვდა დასახიჩრების ზარალს.

უსახელო საზოგადოების ვექილად სასამართლოში გამოცხადდა კერძო ვექილი შანშიევი; შანშიევი ამტკიცებდა, რომ ციციშვილს ფეხები მაშინ-კი არ დაუშავდა, როცა ვაგონებს შუა მოჰყვა, არამედ მაშინ, როცა მიმავალს ვაგონს მისდევდა უკან და უნდოდა გაქანებულს ვაგონზედ შემხტარიყო, თუმცა კონდუქტორმა რამდენჯერმე გააფრთხილაო.

თ. ციციშვილის დამცველი, ნაფიცი ვექილი ტერ-სტეფანოვი ამის წინააღმდეგს ამტკიცებდა, სწორედ ისე, როგორც თხოვნაშია აწერილი.

სასამართლომ დაადგინა: გარდახდეს ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებას თ. ციციშვილის სასარგებლოდ 15.000 მ. და ყოველი ხა-

---

გადიოდა, ანიკო უფრო უხშირებდა იქ სიარულს...

ერთის წლის შემდეგ მაიამ ყველაფერი გაიგო, მანამდის სულ უმალავდა ანიკო. ერთს დღეს-კი ბებიამ დაწვრილებით გამოჰკითხა და ნაღვლიანად უსაყვედურა:

— აბა, შვილოჯან, ეს რა მიყავი, რაზედ გამაუბედურე მეც და შენი თავიც; რომ არ შეგირთოს რაღას იზამ, ქვეყანაში რაღა პირით გამოვალთ?!. რა უნდა უყო მაგ ცოდვის შვილს? იცოდე, შვილო, სიყმაწვილიდგან სიბერემდის პატიოსნების მონა ვიყავ და ამ ქოხს ვერ გავაგონებ შენს საზარელსა და ჩემთვის უსიამოვნო ხმას. წადი იქ, სადაც გირჩია იმ ჩემმა დამღუპველმა და მოილოგინე, მერე მოდი.

მაიას თან ცრემლები მოერია და ქვითინს მოჰყვა:

— ვაი, თავო დამარხულოო, ამბობდა მაია; ვაი ნამუსიანოო მანდილო, მოხდილო და გატალახიანებულო.

ანიკო ფერ-მიხდილი და გამხდარი მუთაქაზედ მიწოლილი კვნესოდა. შემდეგ ნელის ხმით უთხრა ბებიას:

— ნუ სტირი, ჩემო ბებიჯან, იმედი მაქვს, რომ არ მიმტყუნოს. ფიცი აქვს მოცემული; გუშინ საღამოსაც შემოეთვალა ხვალ ფულს გამოგიგზავნიო და თავი მოირჩინეო. ბავშვსაც არა აუტეხოთ რაო. შერთვა რომ არ უნდოდეს, ბავშვს რაღად გაუფრთხილდებოდა!

მაია-კი ისევ ქვითინებდა და მოსთქვამდა:

— ეხლანდელ კაცების ფიცისა არა მჯერა-რა. იმათს პირობას და ფიცს განა მტკიცე პირი აქვს? მაგრამ ალბად ეს გვეწერა შუბლზედ, რომ ასეთი უბედური ბოლო გვქონოდა და ქვეყნის სასაცილოდ გამხდარიყავითო!..

ანიკოს მეტად ებრალებოდა მწუხარე ბებია, მაგრამ რა ექმნა, რითი ენუგეშებინა, თითონაც არ იცოდა. მაიამ ცრემლიანი თვალები წყლით მოიწმინდა, არ უნდოდა თავის მწუხარება მეზობლებისთვის ეჩვენებინა; მოიბურნა შალი თავზედ და უთხრა:

— ცოტა ხანს ჩვენებიანთა გადავალ, ეგებ მიუგზავნო ვინმე იმ პირშავს, ვნახოთ რას შემოსთვლის.

ანიკომ გულში რაღაც ტკივილი იგრძნო, თავის სატრფოს წყევლა რომ გაიგონა... გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო და ღონე-მიხდილი მოჰყვა ხელების ფშვნეტას. მწარედ ოხრავდა და მხრებზედ მოსხმულ შალს მალ-მალე ისწორებდა წინ...

სანთლების ანთებისას მაია შემოვიდა ოთახში უფრო მოწყენილი. ანიკო შიშით ვერ ჩაეკითხა, უსიამოვნო ამბავი არა მითხრას-რაო. მაიასაც შეეცოდა ანიკო და ამისთვის არა უთხრა-რა, მხოლოდ იცრუა, ჩვენები შინ არ დამხვდნენო. ფიქრით მოცული მაია ტახტზედ წამოწვა, მაგრამ ასე ეგონა, ეკალზედ ვწევარო, ისე იყო შეშფოთებული.

ანიკო ცოტა შეუძლოდ გახდა, წელმა ტკივილი დაუწყო, მაგრამ ბებიას არაფერს ეუბნებოდა, გულშივე იკლავდა თავის ტკივილებს.

მაიამ თითქოს გზა შვილისა და სახსარი უბედურობის თავიდგან აცილებისა იპოვნაო, უცბად ზეზედ წამოდგა.

— რა არის შვილო, ნუ გეშინიან, არ გაგაუბედურებს, შვილის საცოდაობას როგორ-და ინდომებს!.. თან უწინდებურად ჩაიკრა გულში და მინაზებული სახე დაუკოცნა.

ანიკოს გულს ეფონა; მაგრამ ავადმყოფობა უორკეცდებოდა. მაიამ ლოგინი გაუშალა და დააწვინა თან ამშვიდებდა, რომ ეგ თვის მუცლის ტკივილია და ნურა გეფიქრება-რაო...

ნოემბრის თვე იყო, ნელ-ნელა ჰკნდებოდა ყველა მცენარე; ბაღსა და ვენახში ფოთლები ყვითლდებოდა და ძირს უსიცოცხლოდ სცვიოდა. შავად და ნაღვლიანად მოჰმუხნულს ცას ღრუბელი უფრო ემატებოდა და დასავლეთისკენ საავდროდ სვეტები ისალტებოდა. უცბად ერთი დაიგრიალა ცამ და ზედ მოჰყვა ჰექა-ქუხილი; ღონივრად იელა, გაიკლაკნ-გამოიკლაკნა ცაში, დაუშვა კოკი-პირული წვიმა და აატალახა ყველა ქალაქის ქუჩები.

ამ უსიამოვნო დღეს, შუაღამისას, სამი ადამიანი გამოვიდა მაიას ქოხიდგან. ნელის ნაბიჯით ხელ-ჩაკიდებული მიჰყავდათ ანიკო. პატარა მანძილი განვლეს და იქვე მდგომს ეტლში ჩასვეს. ეს ორი ადამიანი მაიას ნათლიმამა მიტუა და იმისი ცოლი კეკე იყო. მაიამ გამოისტუმრა თუ არა, ჯერ ილოცა ანიკოს მშვიდობით მორჩენისთვის, მერე ტირილით გული იჯერა; იმის ხმა გათენებამდის არ ჩაღებულა და იმდენი იწუწუნა გაბოროტებულმა, რომ თავს დაათენდა. დილა ადრიანად მიტომ ამბავი შემოუტანა, რომ დაწვა ის უბედური დღისა და ვაჟი მიეცაო. ამის გაგონებამ მაია უფრო გაამწვავა, უფრო აატირა და აამღელვარა, მიტო ამშვიდებდა, მაგრამ ამაოდ, მაია სულ იმის წუწუნში იყო:

— ვაი, ლეჩაქო მოხდილო და ოჯახო დაღუპვილო, პირ-ქვე დამხობილოო!..

ხუთის თვის შემდეგ მაიამ ბავშვი სახლში მოიყვანა, რომელიც მშვენივრად წამოჩიტებულიყო და ძალიან ეშხიანიც იყო. ბებია ისე არ შეხედავდა, რომ ცრემლით არ ეთქვა: „ვაი შენს მაყურებელს, შე ცოდვის შვილო, შენაო!..“ თან გულში ჩაიკრავდა ხოლმე ლამაზსა და ფუნთრუშა ყმაწვილს და ჰკოცნიდა. ბავშვი მტირალ ბებიას თვალში შეაცეცდებოდა და თან ერთს ღრმად ამოიოხრავდა ხოლმე, თითქოს თავის უბედურს ბედს ეს უმანკო ანგელოზიც გრძნობდა.

ანიკო-კი შვილის სიყვარულს თამამად ვერ იკლავდა, ბებიასი ეხათრებოდა. ბევრჯელ შორიდგან მიუალერსებდა ხოლმე, მეტადრე მაშინ, როდესაც ყმაწვილი ერთის წლისა შეიქმნა და ენითა და ფეხით გაიმართა...

მაიამ ბევრი ღონე იხმარა, ბევრს საცდელს ეცადა, მაგრამ შაქროს გაქვავებული გული გრძნობაში ვერ მოიყვანა, ვერაფრით ვერ დაითანხმა. რაც დრო გადიოდა, შაქრო უფრო ცივს უარს უთვლიდა. მაია ერთხელ თითონ მივიდა შაქროსთან და შეევედრა, ხელებზედ კოცნა დაუწყო ოღონდ ჯვარი დაიწერე, ის შვილი შენს სახელზედ მონათლე შვილო, და თუნდა მეორე დღესვე გაეყარე, ასე გაუბედურებულს გასათხოვარს-კი ნუ დამიტოვებო.

შაქრომ კვლავ ცივი უარი განუმეორა და პირშავად გამოისტუმრა დამწვარი მოხუცებული. ანიკო მოუთმენლად ელოდა ბებიას, მაგრამ როდესაც მომავალი დაინახა, იმის სახის გამომეტყველებაზედვე მიხვდა ყველაფერს, იმის წინ ჩაიჩოქა და ტირილით უთხრა:

— ბებიჯან, ეგებ დიდხანს არ გასტანოს ჩემმა უბედურებამ... და დაიწყო ქვითინი.

ანიკომ დარდი და ვაება ველარ აიტანა. ვაჟიც ეზრდებოდა და მოუნათლავი-კი რჩებოდა, არ იცოდა, როგორ და რანაირად მოენათლა. ყმაწვილი უკვე ორის წლისა შესრულდა. ანიკომ ერთს დღეს მეტად ბევრი იტირა და იცემა თავში, შემდეგ მძინარე ყმაწვილს დააცქერდა, ერთი ღრმად ამოიხვნეშა, დაეკონა გულზედ და დაუკოცნა გაბადრული სა-

რჯიც, რაც-კი ციციშვილს მოსვლია ამ საქმის წარმოებაზედ, გადახდეს ამავე საზოგადოებას.

## უსინათლოთა სამზრუნველოს კასსის ვითარება

იმპერატრიცა მარია ალექსანდრეს ასულის მზრუნველობის ქვეშე მყოფ უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო გვთხოვს გამოვაცხადოთ ამ განყოფილების კასსის მდგომარეობა ამა 1894 წლის პირველ აპრილამდე.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1 იანვარს 1894 წ. იყო . | 29940 | 71 |
| იანვარში შემოვიდა . . . | 1828 | 20 |
| ამავე თვეში დაიხარჯა . . | 2156 | 67 |
| 1 თებერვალს 1894 წ. იყო | 29609 | 24 |
| თებერვალში შემოვიდა . . | 2506 | 11 |
| ამავე თვეში დაიხარჯა . . | 267 | 56 |
| 1 მარტს 1894 წ. იყო. . | 31847 | 79 |
| მარტში შემოვიდა . . . | 2255 | 16 |
| ამავე თვეში დაიხარჯა . . | 1026 | 68 |
| 1 აპრილს 1894 წ. იყო. . | 33076 | 27 |

### ეს ფული იმყოფება:

| | | |
|---|---|---|
| 1) მიმომდინარე ანგარიშზედ ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში. | 6307 | 55 |
| 2) ამავე ბანკში შესანახად სარგებლიან ქაღალდ. . . | 25524 | 30 |
| 3) შემნახველ-დამზოგველ კასსაში იქავე . . . . | 1239 | 32 |
| 4) განყოფილების ხაზინადართან . . . . . . | 5 | 10 |

# დეპეშა

11 აპრილი

**პეტერბურგი.** გუშინ მემკვიდრე ცესარევიჩის ჰესსენის პრინცის ასულ ალისაზედ დანიშვნის გამო ისაკის ტაძარში დიდის დღესასწაულით იქმნა გარდახდილი სამადლობელი პარაკლისი. ასეთივე პარაკლისი გადიხადეს ალექსანდრე ნეველის მონასტერსა და ყაზანის ტაძარში; პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრედგან ზარბაზნები გაისროლეს; ქალაქი განმშვენიერებულია დროშებით, საღამოზედ-კი გაჩირაღდნებული იყო.

**ლონდონი.** დაპატიმრებული იქმნა იტალიის ანარხისტი ფერრარი—მეთაური იმ ამხანაგობისა, რომელიც ევროპისათვის აშფოთებელს ყუმბარებს აკეთებდა. 1891 წელს გაგში მოხდარმა ანარხისტთა საიდუმლო საერთაშორისო კონგრესმა ფერრარის მიანდო საშუალებათა დარიგება ლონდონის ანარხისტთა შორის, რისათვისაც ფერრარის დიდძალი ფული მოსდიოდა ბელგიიდგან.

**ათინა.** მიწის-ძვრამ გაანადგურა ლარისსისა, ევბეისა და ფოკისის პროვინციების ბევრი სოფელი; უფრო ძლიერ დაზარალდა ადალანტის პროვინციის ახლო-მახლო მდებარე სოფლები; დაიღუპა 200-მდე კაცი; ზოგიერთს ალაგას მთელი ოჯახობანი მოჰყვნენ ეკკლესიათა ნანგრევებს; მკვიდრნი მინდვრად გაიხიზნენ. იმ ადგილას, სადაც ეს უბედურება დატრიალდა, გაიგზავნა სამხედრო ხომალდი სურსათით, კარვებითა და ექიმებით; ადალანტაში-კი ხომალდით „სფაქტორიათი“ მიდის მეფე შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად. ათინაში მიწის-ძვრას მაგდენი ზარალი არა მოუტანია-რა, მხოლოდ ცოტად დაშავდა სამეფო სასახლე.

12 აპრილი

**პეტერბურგი.** კობურგი—დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ წაბრძანდნენ.

---

ხე... წყნარად ახადა სკივრის თავი, დასაწერი ქაღალდი და ლაქა ამოიღო, ბუხრის რაფიდგან საწერ-კალამი მიიტანა და წერილის წერა დაიწყო.

ბავშვს ისე ეძინა, რომ არც-კი ფშვინავდა. ანიკოს წერილის წერასთან აღელვება ემატებოდა. წერილში ვრცლად იხსენიებდა თავის ბედილბალს და წარსულ ბედნიერების გახსენებაზედ ცრემლი ღაპა-ღუპით სცვიოდა. საჩქაროდ დაკეცა ცრემლით გაბანილი წერილი, დაჰბეჭდა და ზედ დააწერა: „ჩემს შვილს. ვინც ეს წერილი იპოვოთ, ჩემი ანდერძი ეს არის: თუ ჩემი საცოდაობა აქვს და სიბრალული, ეს წერილი არ გახსნას შეინახოს, ვიდრე ჩემი შაქრო (ეს სახელი დამირქმევია) ჩვიდმეტის წლისა არ გახდებოდეს და მერე გადასცეს.

უბედური დედა“.

მეორე დღეს მაიას კარებზედ ხალხის ყაყანი და ჩოჩქოლი ისმოდა. ზოგი ჰყვიროდა, მოჰკლესო; ზოგი ამბობდა, არა, ტყუილიაო; ხალხი უფრო ემატებოდა პაწია ქოხს, მთელი გროვა იდგა ამის კარებზედ. უცბად ხალხში ელვასავით მოედო ხმა, თავი ჩამოურჩვია ბოძზედ უბედურსაო. ხალხში ისმოდა გულ-მტკივნეული სიტყვები. ამ დროს მაია გაკავებული ქვირად და მწარედ, საცოდავის ხმით გაჰყვიროდა:

— გამიშვით, გენაცვალეთ, მივეჭრე იმ წყეულ შეჩვენებულს და გავყოლო ჩემს ანიკოსთანა. იმის მიზეზით მოშორდა ჩემი ანიკო წუთი-სოფელს. უდროოდ უნდა შემოჭამოს მიწამ და ის-კი ცოცხალი დარჩეს!..

მაიას საცოდაობამ ქვაც-კი დასწვა, ხალხი ხომ მდუღარედ ტიროდა ამ უბედურს ამბავს. პაწია შაქროც, თითქოს მიმხვდარიყო, რომ იმასაც წილი ედო უბედურებაში, იცრემლებოდა და ბუტბუტებდა:

— დედილო, დედილო... ნუ წაქვალ, გენაცა!

სადა ანიკოს თავი ჩამოერჩო, იქვე ძირს იატაკზედ დაბეჭდილი წერილი იპოვეს... წაიკითხეს და იმის გამგონე მაიამ უფრო შეჰღრიალა და ქალარა თმის გლეჯა დაიწყო...

ანიკოს გვამი მეორე დღეს, დილის თორმეტს საათზედ, პეტრე-პავლის ეკკლესიისაკენ გაასვენეს, ოთხად მოკეცილსა, ენა-დადუმებულს და ცრემლ-შეშრობილს მაიას ძლივსღა მიალასლასებდა ორი კაცი ცხედრის მახლობლად.

სწორედ ამ დროს ერთის მაღაზიიდგან შაქრო ფშუტაძემ თავის ცოლით თავი გამოჰყვეს. შაქრო შეკრთა ამ სურათის დანახვაზედ, ფერი ეცვალა და ზოზმანით ისევ მაღაზიაშივე შებრუნდა ელდა-ცემული და ფერ-წასული. ახლად შერთული ცოლი-კი დაცინვით უყურებდა ქმარს და პირზედ ღიმილი შესთამაშებდა.

ლ. კოშკელი

---

პეტერბურგის ბირჟა, 8 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,43 | 148 1/2 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 7,46 | 149 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 243 1/2 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 1/4 |
| 4% მესამე სესხისა. | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | 101 5/8 |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | 99 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 101 5/8 |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | 99 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 1/4 | — ,, | — ,, |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11 1/2—12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.


---


# ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში,

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისშა. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.



## სასაპარელო ესსენცია კოლბეირსა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.



## საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„ურბენი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მიგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს ვადიან გარდასახადისაგან და პოლისს-ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან ჰოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—1061—3)



# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7 1/2 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.